



საიას ადვოკატების კამპანიის შედეგად ობურგეთში გარემოსთვის ზიანის მიმყენებელი ტყვიის გადამამუშავებელი საწარმო აღარ გაიხსნება

საიას ობურგეთის ოფისმა გაზეთ **ქვეყნის** ჟურნალისტებთან ერთად, ქ. ობურგეთის ექადიის, ბასრისა და კვაჭალათის უბნის მცხოვრებთა თხოვნით დაიწყო ადვოკატების კამპანია ობურგეთში ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს გახსნის საწინააღმდეგოდ.

საწარმოს გახსნამდე შპს **ქვეყნის** ქარხნის შენობაში კუსტარულად

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ამუშავებდა ტყვიას. მოსახლეობა შეწუხებული იყო სუნიტა და მხუთავი აირით, რომელიც, მათი მოსაზრებით, სწორედ ტყვიის კუსტარულად გადამუშავებისას მიმდინარე საწარმოო პროცესის შედეგად დგებოდა. ამასთანავე, მათივე განმარტებით საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში ბოლო დროს გახშირდა სხვადასხვა ტიპის დაავადებები. კამპანიის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები: შეხვედრები მოსახლეობასთან, შპს **□□□□□□□□□□□□□□□□** □ წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ჩატარდა მრგვალი მაგიდის ფორმატის არა ერთი შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ხელისუფლების, საზოგადოების, მედიის წარმომადგენლები. საკითხის შესწავლაში ჩაერთვნენ ადგილობრივი ექსპერტები.

ექსპერტების მოსაზრებით, საწარმოს გახსნის შემთხვევაში არსებობდა რისკი, რომ ვერ იქნებოდა აცილებული გარემოსთვის მიყენებული ზიანი. მოსახლეობის პოზიცია გაიზიარეს როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ასევე ინვესტორმაც და შ.პ.ს. **□□□□□□□□□□□□□□□□** □ შეაჩერა ქ. ოზურგეთში ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს გახსნის პროექტი.